საქართველოს პარლამენტის ბიუროს

მოქალაქე **ნიკოლოზ ნიკოლაძის** პ/N
[redacted] მცხ.: [redacted]
[redacted] ტელ.: [redacted] ელ. ფოსტა:
[redacted]

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 105-ე მუხლის შესაბამისად, წარმოგიდგენთ საკანონმდებლო წინადადებას „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით რეგულირებულ იმ საკითხ(ებ)თან დაკავშირებით, რომლებთან მიმართებითაც ვფიქრობ, რომ საჭიროებს შემდომ დახვეწას. აქვე, მოცემული საკანონმდებლო წინადადების შემუშავება განპირობებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის სფეროში არსებული კანონმდებლობის ევროპულ სტანდარტებთან დაახლოების, საქართველოს მიერ საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების და საერთაშორისოდ აღიარებული პრინციპებისა და საუკეთესო პრაქტიკის დამკვიდრების პროცესის ხელშეწყობის მიზნით.

დანართი:

- ✓ საკანონმდებლო წინადადება - საკუთარ მონაცემებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის შესახებ;
- ✓ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის 24/06/2022 PDPS 7 22 00002965 წერილის ასლი.

საქართველოს პარლამენტის აპარატი
საქმისწარმოების დეპარტამენტი
შემოს.№ 1-1568/23
30 01 2023 წ. ფურცელი 6

<u>საქართველოს პარლამენტს</u>

საკანონმდებლო წინადადება

საკუთარ მონაცემებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის შესახებ

- **ცვლილების სახეობა:** „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ.

- **კანონის პროექტის მიღების დასაბუთება:** პერსონალური მონაცემების დაცვა ადამიანის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უფლებაა, რომლის რეალიზება საზოგადოებრივი ურთიერთობებისა და ტექნოლოგიური საშუალებების განვითარების პარალელურად უნდა ხორციელდებოდეს. ამ პროცესში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ მონაცემთა სუბიექტს ჰქონდეს პერსონალურ მონაცემებზე წვდომის შესაძლებლობა, რათა გააცნობიეროს მან თუ როგორ მუშავდება პერსონალური მონაცემები. სხვა სიტყვებით, რომ განვმარტოთ მისი მნიშვნელობა - საკმარისი, გამჭვირვალე და ადვილად ხელმისაწვდომი ინფორმაცია ემსახურება მონაცემთა დამუშავების კანონიერებისა და სიზუსტის გადამოწმებას. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის მიზნებისათვის, პერსონალურ მონაცემთა დაცვა პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის შემადგენელი ნაწილია, ხოლო მე-10 მუხლის თანახმად, ყველას აქვს გამოხატვის თავისუფლება, რაც მოიცავს ინფორმაციის თავისუფლად მიღების და გავრცელების უფლებას. ინფორმაციის თავისუფლების და ხელმისაწვდომობის სამართლებრივი საფუძვლები მოცემულია საქართველოს კონსტიტუციის მე-2 თავშიც[1], რითაც ხაზი ესმევა მის განსაკუთრებულ როლს კონსტიტუციით გარანტირებული სხვა უფლებებისა და თავისუფლების დაცვის თვალსაზრისით. მართალია ინფორმაციის მიღების უფლება არ წარმოადგენს აბსოლუტურ უფლებას[2], თუმცა, სახელმწიფოს ერთ-ერთი მთავარ ვალდებულებას ალბათ უნდა წარმოადგენდეს პერსონალური მონაცემების გაცნობის პროცესის ხელშეწყობა/ მოწესრიგება. მონაცემთა სუბიექტს საქართველოს ეროვნული კანონმდებლობით მინიჭებული აქვს პერსონალური მონაცემების დამუშავების თაობაზე ინფორმაციის მოთხოვნის და მიღების მთელი

---

[1] საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია.
საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ყველას აქვს უფლება კანონით დადგენილი წესით გაეცნოს საჯარო დაწესებულებაში მასზე არსებულ ან სხვა ინფორმაციას ან ოფიციალურ დოკუმენტს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი შეიცავს კომერციულ ან პროფესიულ საიდუმლოებას ან დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან სამართალწარმოების ინტერესების დასაცავად კანონით ან კანონით დადგენილი წესით აღიარებულია სახელმწიფო საიდუმლოებად. აღნიშნული ნორმა ასევე ადგენს პერსონალური მონაცემების დაცვის ვალდებულებას.

[2] შეზღუდვა დასაშვები შეიძლება იყოს, თუ იგი გამოწვეულია ინფორმაციის მიმღები პირის, მესამე პირის, სახელმწიფოსა და საზოგადოების მაღალი ლეგიტიმური ინტერესებიდან გამომდინარე.

გარკვეული უფლებები, ასევე მისი პერსონალური მონაცემების ამსახველი დოკუმენტაციის ასლების ხელმისაწვდომობა[3]. უფრო კონკრეტულად კი - „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის[4] მე-15 მუხლის პირველი და მე-3 პუნქტები, ასევე 21-ე მუხლის პირველი პუნქტი, რომლებიც დეტალურად და ამომწურავად განსაზღვრავს, თუ რა ინფორმაციის გამოთხოვა შეუძლია მონაცემთა სუბიექტს და შესაბამისად, რა ინფორმაციის მიუწოდებლობა წარმოადგენს მონაცემთა სუბიექტისთვის „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონით მინიჭებული უფლებების დარღვევას. კერძოდ, კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მონაცემთა სუბიექტი უფლებამოსილია გამოითხოვოს ინფორმაცია:

- მის შესახებ რომელი მონაცემები მუშავდება;
- <u>მონაცემთა დამუშავების მიზანი;</u>
- მონაცემთა დამუშავების სამართლებრივი საფუძველი;
- რა გზით შეგროვდა მონაცემები[5];
- ვისზე გაიცა მის შესახებ მონაცემები, მონაცემთა გაცემის საფუძველი და მიზანი.

ხოლო კანონის მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, მონაცემთა დამმუშავებელი ან უფლებამოსილი პირი ვალდებულია მოთხოვნის შემთხვევაში მონაცემთა სუბიექტს მიაწოდოს შემდეგი ინფორმაცია:

- მონაცემთა დამმუშავებლისა და უფლებამოსილი პირის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ვინაობა და რეგისტრირებული მისამართი;
- <u>მონაცემთა დამუშავების მიზანი;</u>
- სავალდებულოა თუ ნებაყოფლობითი მონაცემთა მიწოდება; თუ სავალდებულოა – მასზე უარის თქმის სამართლებრივი შედეგები;
- მონაცემთა სუბიექტის უფლება, მიიღოს ინფორმაცია მის შესახებ დამუშავებულ მონაცემთა თაობაზე, მოითხოვოს მათი გასწორება, განახლება, დამატება, დაბლოკვა, წაშლა და განადგურება.

კანონი თითოეულ მონაცემთა დამმუშავებელს ავალდებულებს მონაცემთა სუბიექტებს მიაწოდოს ზემოაღნიშნული მუხლებით განსაზღვრული ინფორმაცია,

---

[3] მონაცემთა სუბიექტის მიერ ფორმის არჩევის თავისუფლება არ ვრცელდება კანონის 21-ე მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული პერსონალური მონაცემების შემცველი ასლების გაცნობაზე/მიღებაზე. მხოლოდ კანონის 21-ე მუხლის მე-4 პუნქტი ითვალისწინებს ამავე მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებას მონაცემთა სუბიექტისთვის სასურველი ფორმით, რაც კანონის მიზნებიდან გამომდინარე, შეიძლება იგულისხმებოდეს მონაცემთა სუბიექტის უფლებას - თავად აირჩიოს, თუ რომელი ფორმით სურს მიიღოს მოთხოვნილი ინფორმაცია - მატერიალურად თუ ელექტრონულად;

[4] 2010 წლის 28 ნოემბერს მიღებულ კანონთან დაკავშირებული განმარტებითი ბარათი მოცემულია შემდეგ ბმულზე: https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/63200

[5] სხვა წყაროდან პერსონალური ინფორმაციის მიღების უფლება ადმინისტრაციულ ორგანოს სავარაუდოდ უნდა ჰქონდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამოიწურა პირველწყაროდან პერსონალური მონაცემების მიღების ყველა სხვა შესაძლებლობა. სხვა წყაროდან პერსონალური მონაცემების მოპოვების შემთხვევაში, საჯარო დაწესებულება, მესამე პირ(ებ)ისათვის პერსონალური მონაცემების გადაცემის შეტყობინებასთან ერთად, ალბათ ვალდებულული უნდა იყოს შესაბამის პირს მიაწოდოს ინფორმაცია მონაცემების იმ მომწოდებლის შესახებ, რომელმაც შეაგროვა/ დაამუშავა/ გადასცა მოცემული პერსონალური ინფორმაცია;

თუმცა არ მოიცავს მონაცემთა დამმუშავებლის სამართლებრივ ვალდებულებას პასუხი გასცეს მონაცემთა სუბიექტის სხვა სახის შეკითხვას. შესაბამისად, დგება პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის 2022 წლის 2 მარტის №04 ბრძანებით დამტკიცებული „პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების შესწავლის წესის მე-18 მუხლის 1-ლი პუნქტის „თ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული მონაცემთა დამუშავების კანონიერების სამსახურის მიერ შესწავლის გამომრიცხავი გარემოებაც. აღნიშნული რეგულაციის უმთავრესი მიზანი ალბათ უნდა იყოს მონაცემთა სუბიექტს ჰქონდეს შესაძლებლობა განსაზღვროს რამდენად კანონიერად მუშავდება მისი მონაცემები[6], არის თუ არა სახეზე მონაცემთა დამუშავების საფუძველი და ასეთის არ არსებობის შემთხვევაში მოითხოვოს შესაბამისი ინფორმაციის წაშლა, განადგურება, ჩასწორება და სხვა. მიუხედავად ზემოხსენებულისა, ვფიქრობ, რომ პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული ნორმები ვერ ქმნის საქართველოს კონსტიტუციით, გარანტირებული უფლების რეალიზების საფუძვლებს. ამას გარდა, პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისას ფიზიკური პირის დაცვის შესახებ კონვენციის[7] მე-8 მუხლით განსაზღვრული რეგულაციებიც[8] (მაგ.: ნებისმიერ პირს უნდა შეეძლოს მონაცემთა ავტომატიზებულ ფაილში მასთან დაკავშირებული პერსონალური მონაცემების არსებობის ფაქტის დადასტურება, ასევე მისთვის მონაცემთა მიწოდება მისაღები ფორმით) მიზანშეწონილია, რომ ასახული იყოს საკანონმდებლო დონეზე.

☞ **იდენტიფიცირებული პრობლემა, რომლის გადაჭრა საკანონმდებლო წინადადების მიზანია:**

---

[6] „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, მონაცემთა დამმუშავებელს მოსთხოვოს ინფორმაცია მის შესახებ მონაცემთა დამუშავების თაობაზე;

[7] საქართველოს პარლამენტმა ამ კონვენციის რატიფიცირება 2005 წელს მოახდინა, ხოლო ძალაში 2006 წლის 1 აპრილს შევიდა. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებასთან დაკავშირებული მზარდი გამოწვევების ფონზე საჭირო გახდა 108-ე კონვენციის განახლება. მოდერნიზების პროცესი დასრულდა კონვენციის CETS No. 223 შესწორების ოქმის მიღებით. აღნიშნული ოქმი (რომლის საფუძველზეც კონვენციას მოიხსენებენ როგორც „108+ კონვენციას") 2018 წლის 10 ოქტომბერს გაიხსნა ხელმოსაწერად. დღეის მდგომარეობით, დოკუმენტს ოცდაათზე მეტი ხელმომწერი ჰყავს, ხოლო ათზე მეტმა სახელმწიფომ მოახდინა მისი რატიფიცირება. ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციით, საქართველო კი ევროპის საბჭოს იმ ქვეყნებს შორის არის, ვისაც ჯერ ოქმის არც ხელმოწერა და არც რატიფიცირება არ განუხორციელებია. Modernised Convention for the Protection of Individuals with Regard to the Processing of Personal Data-ხელმისაწვდომია შემდეგი ინტერნეტ ბმულიდან: https://search.coe.int/cm/Pages/result_details.aspx?ObjectId=09000016807c65bf)

2. Paragraph 1.a shall not apply if the decision is authorised by a law to which the controller is subject and which also lays down suitable measures to safeguard the data subject's rights, freedoms and legitimate interests.

[8] "ნორმაატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საქართველოს კონსტიტუციითა და „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი მოთხოვნების დაცვით ძალაში შესულ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებასა და შეთანხმებას, თუ ისინი არ ეწინააღმდეგებიან საქართველოს კონსტიტუციას და კონსტიტუციურ კანონს, აგრეთვე საქართველოს კონსტიტუციურ შეთანხმებას აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ.

კანონმდებლობით განსაზღვრული შესაძლო შეზღუდული მოცულობა პერსონალურ მონაცემთა ხელმისაწვდომობაზე (საერთაშორისო სტანდარტებისგან განსხვავებული) გარანტიების შექმნის კუთხით.

2014 წლის 27 ივნისს საქართველოსა და ევროპულ კავშირს შორის გაფორმებული ასოცირების შეთანხმების მე-14 მუხლის მიხედვით, საქართველო ვალდებულია დაამკვიდროს მონაცემთა დაცვის ევროპულ კავშირში მოქმედი სტანდარტები, შეთანხმების I დანართის მიხედვით, მხარედ წოდებული საქართველოს სახელმწიფო „უზრუნველყოფს მონაცემთა დაცვის სამართლებრივ დონეს, რომელიც მინიმუმ შეესაბამება ევროპარლამენტისა და საბჭოს 1995 წლის 24 ოქტომბრის პერსონალურ მონაცემთა დაცვასა და ასეთი ტიპის მონაცემთა თავისუფალ გადაადგილებასთან მიმართებით ინდივიდების დაცვის თაობაზე 95/46/EC[9] დირექტივით გათვალისწინებულ დაცვის სტანდარტებს [...]. საჭიროებისამებრ, თითოეული მხარე გაითვალისწინებს 2008 წლის 27 ნოემბრის "სისხლის სამართლებრივ საკითხებზე პოლიციასა და სასამართლოს შორის თანამშრომლობის ფარგლებში დამუშავებულ პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საბჭოს 2008/977/JHA[10], ჩარჩო გადაწყვეტილებას ასევე 1987 წლის 17 სექტემბრის ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის N R (87)15 რეკომენდაციას[11], რომელიც არეგულირებს პოლიციის სფეროში პერსონალურ მონაცემთა გამოყენებას. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ასოცირების შეთანხმების გაფორმების შემდგომ, 2016 წლის 27 აპრილს მიღებულ იქნა ევროპარლამენტის 2016/679 რეგულაცია[12] (გააუქმა 95/46/EC დირექტივა), რომელიც ევროკავშირის წევრ ქვეყნებში პირდაპირ მოქმედებს და არ საჭიროებს ეროვნულ

---

[9] **Right of access** Member States shall guarantee every data subject the right to obtain from the controller:
(a) without constraint at reasonable intervals and without excessive delay or expense:
— confirmation as to whether or not data relating to him are being processed and information at least as to the purposes of the processing, the categories of data concerned, and the recipients or categories of recipients to whom the data are disclosed,
— communication to him in an intelligible form of the data undergoing processing and of any available information as to their source,
— knowledge of the logic involved in any automatic processing of data concerning him at least in the case of the automated decisions referred to in Article 15 (1);
(b) as appropriate the rectification, erasure or blocking of data the processing of which does not comply with the provisions of this Directive, in particular because of the incomplete or inaccurate nature of the data;
(c) notification to third parties to whom the data have been disclosed of any rectification, erasure or blocking carried out in compliance with (b), unless this proves impossible or involves a disproportionate effort.
წყარო: https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:31995L0046&rid=5

[10] იხ. ბმული: https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:32008F0977&from=EN

[11] იხ. ბმული: https://polis.osce.org/council-europe-committee-ministers-recommendation-no-r87-15-member-states-regulating-use-personal

[12] იხ. ბმული: https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:32016R0679&from=EN

კანონმდებლობაში ასახვას[13] (ამასთან, ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შეუძლიათ მიიღონ კანონები, სადაც კონკრეტულად იქნება მოწესრიგებული რეგულაციით გათვალისწინებული გარკვეული საკითხები). იგი აწესებს ევროკავშირის მთელ ტერიტორიაზე მონაცემთა დაცვის ერთიან სავალდებულო წესებს, რაც გამორიცხავს ამა თუ იმ საკითხის რადიკალურად განსხვავებულ მოწესრიგებას. საგულისხმოა, რომ პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მიღებიდან დღემდე განხორციელებულ 23 ცვლილებას შორის, მხოლოდ 25/05/2014 6325-Iს14 და 01/08/2014 2636-რს[15] კანონები შეეხო მონაცემთა სუბიექტის უფლებებს (21-ე მუხლი). ამასთან, ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის საქართველოსთვის მისანიჭებლად განსახორციელებელი შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების მომზადების მიზნით, შესაძლოა საქართველოს პარლამენტში შექმნილ შესაბამის სამუშაო ჯგუფებში ასევე მუშავდებოდეს/ მუშავდებოდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონმდებლობაში განსახორციელებელი ცვლილებების პაკეტიც. სასურველი იქნებოდა გარდა აღებული ვალდებულებებისა/ ევროკავშირში მოქმედი რეგულაციებისა, საქართველოს მიერ ასევე გათვალისწინებული და საჭიროებისამებრ გაზიარებული ყოფილიყო ევროპის კავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნების გამოცდილებაც. აღნიშნული თავისთავად ხელს შეუწყობს ქვეყანაში ადამიანის უფლებების დაცვის გაუმჯობესების პროცესს.

Republic of Moldova	UKRAINE
Law No.133 of 08.07.2011 on personal data protection[16]	LAW ON PROTECTION OF PERSONAL DATA[17]

[13] რეგულაცია ასევე ვრცელდება იმ ორგანიზაციებზეც, რომლებიც არ არიან რეგისტრირებული ევროკავშირში, თუმცა ამუშავებენ ევროკავშირში მყოფი პირების მონაცემებს. ამ მხრივ შესაძლოა შეფასებას მოითხოვდეს - საქართველოს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ (მათ შორის შუამავალი/ დონორი ორგანიზაციზაციების ჩართულობით, თუგინდ საქართველოში ნებაყოფლობითი დაბრუნების/ რეადმისიის განხორციელების დროს ან/და თანამემამულის სტატუსის მოპოვებისას) ევროკავშირის ტერიტორიაზე კანონიერად მყოფი პირებისათვის მომსახურების გაწევისას მონაცემთა დამუშავების საკითხიც.

14 6325-Iს კანონის შესაბამისად, 21-ე მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით - „მონაცემთა სუბიექტს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია უნდა მიეწოდოს მოთხოვნიდან დაუყოვნებლივ, არა უგვიანეს 10 დღის ვადაში.", ხოლო მე-4 პუნქტის შემდეგ დაემატა შემდეგი შინაარსის პუნქტი - „პირს უფლება აქვს, გაეცნოს მის შესახებ საჯარო დაწესებულებაში არსებულ პერსონალურ მონაცემებს და უსასყიდლოდ მიიღოს ამ მონაცემების ასლები, გარდა იმ მონაცემებისა, რომელთა გაცემისათვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულია საფასური".

15 2636-რს კანონისთანახმად, 21-ე მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით - „მონაცემთა სუბიექტს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია უნდა მიეწოდოს მოთხოვნისთანავე, დაუყოვნებლივ, ან მოთხოვნიდან არაუგვიანეს 10 დღისა, თუ ინფორმაციის მოთხოვნაზე პასუხის გაცემა მოითხოვს: ა) ინფორმაციის სხვა დაწესებულებაში ან სტრუქტურულ ერთეულში მოძიებასა და დამუშავებას ან მასთან კონსულტაციას; ბ) მნიშვნელოვანი მოცულობის, ერთმანეთთან დაუკავშირებელი დოკუმენტების მოძიებასა და დამუშავებას; გ) სხვა დასახლებულ პუნქტში არსებულ მის სტრუქტურულ ქვედანაყოფთან ან სხვა საჯარო დაწესებულებასთან კონსულტაციას".

16 მოლდოვის კანონმდებლობა პერსონალურ მონაცემთ დაცვის კუთხით იხილეთ შემდეგ ბმულზე: https://datepersonale.md/en/legislation/national-legislation/law/

17 წყარო:

Article 12. Informing the personal data subject 1. Where the personal data are collected directly from the personal data subject, the controller or the processor must provide the data subject with the following information, except where he already has it: a) the identity of the controller or of the processor, as the case may be; b) the purpose of processing for which the data are collected; c) additional information, such as: - recipients or categories of recipients of personal data; - existence of the rights of access to data, the right of intervention upon data and the right to object, as well as conditions under which such rights may be exercised; - whether the answers to the questions intended to collect data are mandatory or voluntary, as well as the possible consequences of denial to respond; 2. Where the personal data are not collected directly from the personal data subject, the controller or the processor must, at the time of data collection or, if a disclosure to the third parties is envisaged, no later than the time when the data are first disclosed provide the personal data subject with information on the categories of personal data which are intended to be collected or disclosed, as well as with the information specified in paragraph (1), except item 3), c). 3. Provisions referred to in paragraph (2) shall not apply where: a) the personal data subject has already the information; b) processing of personal data is carried out for statistical, historical or scientific-research purposes; c) provision of information that proves to be impossible or involves disproportionate effort towards the legitimate interest that might be violated; d) recording or disclosure of personal data is expressly stipulated by law.	**Article 8. Rights of Personal Data Subject** 1. Personal non-property rights to personal data that each individual is entitled to are inalienable and inviolable. 2. The personal data subject shall have the right to: 1) know about the sources of collection, location of his/her personal data, purpose of their processing, location and/or place of residence (temporary residence) of the controller or processor of personal data, or to issue a respective proxy on obtaining such information to the authorized persons, except for cases established by the law; 2) receive information on conditions of access to personal data, in particular information about third persons his/her personal data are transferred to; 3) access to his/her personal data; 4) receive a response with regard to whether his/her personal data are processed as well as to receive information on the content of his/her personal data within the period that is no longer than 30 days since the moment the relevant request was received, unless otherwise prescribed by law; 5) submit a motivated request to controller of personal data with objection against processing of his/her personal data; 6) submit a motivated request to change or destroy his/her personal data by any controller and processor of personal data, if such data are processed illegally or are inaccurate; 7) protect his/her personal data from illegal processing and accidental loss, destruction, damage due to a deliberate concealing, failure to provide them or provision of such data with delay, as well as to protection from provision of data which are inaccurate or disgraceful for the honor, dignity and business reputation of an individual; 8) lodge complaints on his/her personal data processing to the Commissioner or courts; 9) use legal remedies in case of violation of legislation on protection of personal data; 10) submit reservations in respect of restricting the right to process his/her personal data while providing his/her consent; 11) withdraw consent to the processing of his/her personal data; 12) know the automatic mechanism of processing of personal data; 13) be protected from automated decision that has legal consequences for him/her.
Article 13. The right of access to personal data 1. Any personal data subject has the right to obtain from the controller, upon request, without delay and free of charge: a) confirmation as to whether or not data relating to him are being processed and information as to the purposes of the processing, the categories of data concerned, and the recipients or categories of recipients to whom the data are disclosed; b) communication to him in an intelligible form and in a way that does not require additional equipment, of the data undergoing processing, and of any available information as to their source; c) information on the logic involved in any automatic processing of data concerning the personal data subject; d) information on legal consequences for the personal data subject generated by processing of these data; e) information on the exercise of the right of intervention upon the personal data.	

https://www.theioi.org/downloads/bfdq7/Law%20of%20Ukraine%20on%20Personal%20Data%20Protection%2003%2009%202015.pdf

2. Where the personal data concerning health are processed for the purpose of scientific-research, where there is clearly no risk of breaching the rights of the personal data subject, and the data are not used for taking measures or decisions regarding any particular individual, communication of information specified in paragraph (1) may be done within a period of time longer than the one stipulated by the Law on access to information, to the extent to which it could affect the good carrying-out or results of the research, but not later than the research is over. The personal data subject must give his consent to the processing of health- related data for scientific-research purposes, as well as to the possible delay, for this reason, of the communication of information provided for in paragraph (1).	

პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონი არ ითვალისწინებს ზემოხსენებული სამართლებრივი აქტებით დადგენილ მთელ რიგ რეგულაციებს, მათ შორის მონაცემთა შეგროვების წყაროების[18] *(გამომდინარეობდა - 95/46/EC დირექტივითაც)*, მონაცემთა კატეგორიისა, დამუშავებულ <u>მონაცემთა შინაარსის და მონაცემთა დამუშავების შედეგად დამდგარი სამართლებრივი შედეგების</u> შესახებ ინფორმაციის მოპოვების შესაძლებლობას. ასევე, მონაცემთა დამუშავების მიმდინარეობის დადასტურების მოთხოვნის *(გამომდინარეობდა - 95/46/EC დირექტივითაც)* და პერსონალურ მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული დათქმების[19] განხორციელების უფლებას. ამასთან, ევროპარლამენტის 2016/679 რეგულაციის მე-15 მუხლით, მონაცემთა სუბიექტს ასევე უფლება აქვს მონაცემთა დამმუშავებლისაგან მიიღოს მონაცემთა შენახვის ვადის[20] შესახებ ინფორმაციაც[21]. ამგვარი

---

18 სასურველია, რომ პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის 21-ე მუხლით მკაფიოდ გაესვას ხაზი მონაცემთა სუბიექტის უფლებას მონაცემთა შეგროვების წყაროების, ფორმების თუ მეთოდების შესახებ ინფორმაციის მიღებაზე, რაც შეუწყობს ხელს მონაცემთა დამუშავებლის მიერ პერსონალური მონაცემების გაცემაზე უარის თქმის შემთხვევების ან/და შემდგომი დავების წარმოების შემცირებას;

19 მხედველობაშია მისაღები მომსახურების მისაღებად წარსადგენი სააპლიკაციო ფორმებიც, სადაც უმრავლეს შემთხვევაში, არა თუ დათქმების განხორციელების, არამედ მონაცემთა დამუშავების კონკრეტული მიზნებიდან გამომდინარე თანხმობის მკაფიოდ გამოხატვის შესაძლებლობაც არ არის მოცემული.

20 თუმცა, ამ მხრივ მნიშვნელოვანი უნდა იყოს - პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პერიოდების შესახებ ინფორმაციის ფლობაც. პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „ე" ქვეპუნქტის შესაბამისად, მონაცემები შეიძლება შენახულ იქნეს მხოლოდ იმ ვადით, რომელიც აუცილებელია მონაცემთა დამუშავების მიზნის მისაღწევად;

21 მუხლი 15 **მონაცემთა სუბიექტის მიერ მონაცემებზე წვდომის უფლება** 1. მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს მონაცემთა დამმუშავებლისაგან მოითხოვოს დადასტურება, მუშავდება თუ არა მისი მონაცემები და დადასტურების შემთხვევაში, მიიღოს შემდეგი ინფორმაცია: ა) მონაცემთა დამუშავების **მიზნები**; ბ) დამუშავებულ მონაცემთა კატეგორიები; გ) მონაცემთა მიმღების ვინაობა ან მიმღების კატეგორია, რომელსაც გადაეცა <u>ან მომავალში გადაეცემა</u> მონაცემები, განსაკუთრებით თუ მონაცემთა მიმღებებს წარმოადგენენ მესამე სახელმწიფოებში რეგისტრირებული ან საერთაშორისო ორგანიზაციები; დ) <u>მონაცემთა შენახვის ვადა</u>, ან თუ კონკრეტული ვადის განსაზღვრა შეუძლებელია, ვადის განსაზღვრის კრიტერიუმები; ე) მონაცემთა სუბიექტის უფლების არსებობის შესახებ, რომ მას შეუძლია მოითხოვოს მის შესახებ დამუშავებულ <u>მონაცემებზე წვდომა,</u>

(2016/679 რეგულაციისაა და უკრაინის და მოლდობის კანონმდებლობის მსგავსი) ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების საქართველოს ეროვნული კანონმდებლობით რეგულირება ან/და მკაფიოდ განსაზღვრა შესაძლებელია ჩაითვალოს კარგი პრაქტიკის მაგალითად მონაცემთა სამართლიანი დამუშავების პრინციპის ჭრილშიც.

❖ **საკანონმდებლო წინადადების ავტორი:**

- საქართველოს მოქალაქე ნიკოლოზ ნიკოლაძე, პირადი ნომერი [redacted]
- მცხ.: [redacted]; საფოსტო ინდექსი [redacted]
- ელ. ფოსტა: [redacted] მობ.: [redacted]



29/01/2023

მოითხოვოს მათი გასწორება, დაბლოკვა, წაშლა ან განადგურება, მონაცემთა დამუშავების შეწყვეტა და ასევე მონაცემთა გადატანა; ვ) საზედამხედველო ორგანოსთვის საჩივრით მიმართვის უფლების შესახებ; ზ) თუ მონაცემებთა შეგროვება არ ხდება უშუალოდ მონაცემთა სუბიექტისაგან, ნებისმიერი ხელმისაწვდომი ინფორმაცია მათი **შეგროვების წყაროს** შესახებ; თ) გადაწყვეტილების ავტომატიზებულად მიღების, მათ შორის, 22-ე მუხლის პირველი და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული „პროფილირების", და ამგვარ შემთხვევებში სულ მცირე მნიშვნელოვანი/არსებითი ინფორმაცია გამოყენებული ლოგიკის/კრიტერიუმების, საჭიროების და მონაცემთა სუბიექტისთვის შესაძლო შედეგების შესახებ; 2. მონაცემთა მესამე სახელმწიფოსთვის ან საერთაშორისო ორგანიზაციისთვის გადაცემის შემთხვევაში, მონაცემთა სუბიექტი უფლებამოსილია, მიიღოს ინფორმაცია მონაცემთა გადაცემასთან დაკავშირებული უსაფრთხოების სათანადო გარანტიების შესახებ 46-ე მუხლის შესაბამისად; 3. დამმუშავებელმა მონაცემთა სუბიექტს უნდა მიაწოდოს დამუშავებულ მონაცემთა ასლი. მონაცემთა სუბიექტის მიერ დამატებითი ასლების მოთხოვნის შემთხვევაში, დამმუშავებელი უფლებამოსილია დააწესოს გონივრული საფასური ადმინისტრაციული ხარჯების გათვალისწინებით. თუ მონაცემთა სუბიექტი მოთხოვნას წარადგენს ელექტრონული ფორმით, მის მიერ სხვაგვარი მოთხოვნის არარსებობის შემთხვევაში, ინფორმაციის მიწოდება უნდა მოხდეს საზოგადოდ მიღებული/გავრცელებული ელექტრონული საშუალებით; 4. მე-3-ე პუნქტში მითითებული ასლის მოთხოვნის უფლებამ არ უნდა იქონიოს უარყოფით გავლენა სხვათა უფლებებსა და თავისუფლებებზე

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური

Personal Data Protection Service

PDPS 7 22 00002965

24/06/2022

ნიკოლოზ ნიკოლაძეს

მისამართი: [redacted]

ბატონო ნიკოლოზ,

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურში (შემდგომში - სამსახური) თქვენ მიერ 2022 წლის 24 მაისს წარმოდგენილი №PDPS 1 22 00002167 მომართვის პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის 40^{11} მუხლის „ა", „ბ" და „გ" ქვეპუნქტების მიხედვით, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური ახორციელებს საქართველოში მონაცემთა დამუშავების კანონიერების კონტროლს. ამ სფეროში პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია: ა) მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე კონსულტაციის გაწევა; ბ) მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებული განცხადებების განხილვა; გ) მონაცემთა დამუშავების კანონიერების შემოწმება (ინსპექტირება). ამდენად, სამსახური, როგორც მონაცემთა დამუშავების კანონიერებაზე კონტროლის განმახორციელებელი ორგანო, უფლებამოსილია კონსულტაცია გაგიწიოთ მხოლოდ მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით.

მოცემულ შემთხვევაში, „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 71-ე მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული საჯარო დაწესებულების ვალდებულება - მოხელეს აცნობოს საჯარო სამსახურში მის საქმიანობასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების დაწყების და მის მიმართ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილების შესახებ, დაკავშირებულია სპეციალურ, მათ შორის საჯარო მოხელის სტატუსისა და მისი უფლება-მოვალეობების მარეგულირებელ კანონმდებლობასთან და მისი შესრულების კონტროლიც საამისოდ უფლებამოსილი საჯარო დაწესებულებ(ებ)ის ან/და სასამართლოს

ნ. ვაჩნაძის ქ. №7, 0105, თბილისი, საქართველო
ტელ: (+995 32) 2421000
ელფოსტა: office@pdps.ge

7, N. Vachnadze Str., 0105, Tbilisi, Georgia
Tel: (+995 32) 2421000
E-mail: office@pdps.ge

კომპეტენციას განეკუთნება. სამსახური კი უფლებამოსილების ფარგლების გათვალისწინებით მოკლებულია შესაძლებლობას გააკონტროლოს საჯარო დაწესებულების მიერ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 71-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულება.

აღსანიშნავია, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 71-ე მუხლის 1-ლი პუნქტით განსაზღვრული - მოხელის საქმიანობასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების დაწყებისა და მის მიმართ მიღებული გადაწყვეტილებები, ასევე, ამავე მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი - მოხელის პირადი საქმე, შესაძლოა შეიცავდეს მოხელის შესახებ პერსონალურ მონაცემებს. სამსახური კი თავისი კომპეტენციის გათვალისწინებით, უფლებამოსილია „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 71-ე მუხლით მოწესრიგებულ საკითხებთან მიმართებით შეისწავლოს მონაცემთა სუბიექტის „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი უფლებების დარღვევის შემთხვევები, კერძოდ, ამავე კანონის 21-ე და 22-ე მუხლებით განსაზღვრული უფლებების: მონაცემთა სუბიექტის მიერ ინფორმაციის მოთხოვნის უფლების და მონაცემთა სუბიექტის მიერ მონაცემთა გასწორების, განახლების, დამატების, დაბლოკვის, წაშლისა და განადგურების მოთხოვნის უფლების რეალიზების საკითხი.

რაც შეეხება კანონის 21-ე მუხლის განმარტებას, კონსტიტუციის კონკრეტული ნორმით განსაზღვრულ უფლების შემზღუდველ დანაწესთან მისი შესაბამისობის და ამდენად კონკრეტული მუხლის კონსტიტუციურობის საკითხთან მიმართებით, გაცნობებთ, რომ აღნიშნული საკითხის შეფასება სცილდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 40^{11} და 40^{15} მუხლებით დადგენილ სამსახურის კომპეტენციის ფარგლებს.

კითხვების არსებობის შემთხვევაში, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ ტელეფონის (+995 32 2 42 1000) ან ელექტრონული ფოსტის (office@pdps.ge) საშუალებით.

პატივისცემით,

ქეთევან კრაწაშვილი

დეპარტამენტის უფროსი
საჯარო სექტორზე ზედამხედველობის
დეპარტამენტი